ხუთშაბათი 19 აგვისტო † ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სახსოვრად † ფასი ოქრი შაური

მ ე ო ქ რ ე

† ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა
(დ. 1859 წ. 3 თებ. გ. 1910 წ. 16 აგვ.)

გ ა ბ ო ც ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასაფლავების წესი

მიცვალებული ასვენია ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დიდის ათ საათზე. ანდერძის აგების შემდეგ მიცვალებული გოდოვანის ბრასშეკეტით მოსვენებულ იქმნება ქართულ თეატრთან, რომლის შესვენებლიც სამგლოვიარო ძაძითა მოსილი. წესის შესრულების შემდეგ ბრატესი გაივლის დორის-შედიქოვის ქუჩით, დაუხვევს ბარათინსკის ქუჩაზე, გუკეის ხიდით მიხეიდან ბრასშეკეტზე გავა და რეუტოვის ქუჩისკენ შეუხვევს. ნ. გ.-ტ-ი დაკრძალულ იქმნება წმ. ნინოს სასოფლოზე თავის შეუდლის—ასიკო ცაგარლის—გვერდით, ქართველ მოდგაწე-მწერალთა შორის.

**რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“** გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ორშაბათს 16 აგვისტოს დილის 9 ნახ. საათზე გარდაიცვალა ქართული თეატრის დედაბოძთაგანი და დამამშვენებელი

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

დაკრძალული იქმნება ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასოფლოზე

**ქართული დრამატიული საზოგ. გამგეობა** აცხადებს, რომ დაკრძალვა

ნატალია მერაბის ასული

## გაბუნია-ცაგარლისა

დანიშნულია, ხუთშაბათს 19 აგვისტოსთვის. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

**თბილისის ქართული დრამატიული დასის მსახიობნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

## ნატო გაბუნია-ცაგარლის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდის ნახევარ საათზე ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს 19 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასოფლოზე.

ძმა იოსებ მერაბის-ძე **გაბუნია** მეუღლითურთ და დები—ანეინა დარია მერაბის ასული **ციციშვილისა**, კესარია მერაბის ასული **ტატიშვილისა** და მარიამ მერაბის ასული **ციკნაძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 აგვისტოს **დილის 9 ნახევარ საათზე გარდაიცვალა** ძვირფასი და

ნატალია მერაბის ასული

## გაბუნია-ცაგარლისა

პანაშვიდები ყოველ დღ. საღამოს 6 ნახ. ს. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია ნიცვალებული. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, კუკიის წმინდა ნინოს სასოფლოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

№ 33

მეორე გამოცემა

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან Тифлисъ. Редакція „Театри да Цховреба“ Іос. Зах. Имедашвили

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. —რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

№ 33 ხუთშაბათი, 19 აგვისტო 1910


## † ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სახსოვრად †

**რედაქციისაგან**: ქართული სცენის დამამშვენებელ მსახიობის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო, მისი ხსოვნის პატივსაცემლად მომავალ კვირის ნომერი დღეს გამოდის; შემდეგი მორიგი ნომერი გამოვა 29 აგვისტოს.

---

**რედაქციამ** დაადგინა ნ. მ. გაბუნია ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემლად, გვირგვინის მაგიერ, ორი სოფლის წიგნთსაცავ-სამკითხველოს ჟურნალი უგზავნოს მთელის წლის განმავლობაში წ. კ. ს. ჩვენების ამებრ.

---

### 19 აგვისტო 1910 წ.

**სიკვდილი და სიცოცხლე.** წლევანდელი სეზონი გლოვით დაიწყო...

სამშობლო სცენა ძაძით შეიმოსა...

განისვენა ნატო გაბუნიამ, ქართულ საუდამო დასის ერთმა საძირკვლის ჩამყრელთაგანმა, უღრან ტყეში ნარეკლიან გზის გამვალავმა...

ქართველს ერს წარსულში ბევრი შავბნელი დღე განუცდია, ცა მეხად მოვლენია და დედამიწა მედგრად, მაგრამ ხშირად გამარჯვებულიც გამოსულა ბრძოლის ველიდან...

და ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქართველს ქალს თავისი მოვალეობა შეგნებით სჭერია მაღლა...

დაეცა ქალი, დაეცა საზოგადოებაც...

ასე იყო სხვაგან, ასეა ჩვენშიც...

სახელმწიფოებრივ-ქონებრივმა და მოქალაქეობრივმა ცვლილებამ შესცვალა ჩვენის ცხოვრების შინაარსიც—შეგნება, სულიერი მისწრაფება-ლტოლვილებანი და სურვილნი...

ცხოვრების ახალს ასპარეზზე საზოგადოებრივმა პირობებმა ქალიც გამოიყვანა...

ჩვენს ქვეყანას, თუმცა ძლიერ ცოტა, მაგრამ მაინც ჰყავს მანდილოსან—მოქალაქენი, საზოგადო მოღვაწენი, რომელთა საქმიანობა უაღრესად ათბობს და ახალისებს ადამიანის გულს...

ერთი მათგანი იყო ნატო გაბუნია... იგი არ იყო პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, შვილთა მშობელი, მაგრამ იგი იყო ყოველივე: საზოგადო ცხოვრების ჰანგის მიმცემი, მწერალ-დრამატურგთა შთამგონებელი, საუკეთესო აღმზრდელ-დამრიგებელი... დედა ქართველი მსახიობ-ქალისა...

თავისი უნარი და ძალა ნატო გაბუნიას ღრმათ ჰქონდა შეგნებული, იცოდა რა დიადის საქმის შესასრულებლადაც იყო მოწოდებული; სწამდა, რომ ხელოვნების ტაძრის ერთი ძლიერი ქურუმთგანი იყო და ეს რწმენა მთელს სიცოცხლეში არ მოშორებია... მხოლოდ ა მგვარ რწმენით აღჭურვილი ადამიანები თუ შეჰქმნიან რასმეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

როგორც ქართველი მსახიობი, ქართული ბუნებრივი კილოს გამომთქმელი, ქართული სასცენო ღიმის გამომსახველი, შეუდარებელი იყო..

დღეს ნატო გაბუნიას ბაგენი დადუმდენ... მაგრამ იგი არ არის მკვდარი, ვინც „დიდის ღმერთის საკურთხეველს“ აირჩევს მსხვერპლის შესაწირავად...

მან ადრევე სძლია საზოგადოებრივი სიკვდილი, შარავანდედი შეჰმატა ხელოვნების მძლეთამძლეობას და ქართველ მსახიობ ქალს მოქალაქობრივი უფლება მოუპოვა...

სიკვდილი ვერ ეუფლება მას, ვინც ადრევე ჰგმო იგი...

ნატო გაბუნია იყო და იქნება კიდეც სამარადისოდ...

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროთ თავისი ჰქონია...

დროთა ბრუნვის კანონმა თავისი გაიტანა...

ქართული სცენის უზადო შემქმნელთაგანს, ერთ მთავარ სულის ჩამდგმელთაგანს ძარღვის ცემა შეეწყვა...

აღარ არის ნატო გაბუნია...

ნატო გაბუნია ის სახელია, ის ბგერა, რომელმაც ამ ოც და ათის წლის წინად გაბედულად და ღრმა რწმენით გატაცებულმა მოჭმართა ხელოვნების ებანი...

ხელოვნების ებანს სცემდა ოცდაათ წელიწადზე მეტი...

ორშაბათს 16 აგვისტოს, დილის ათის ნახევარზე გარდაიცვალა იგი ისეთივე შეუჯერეველი, დაუმორჩილებელი ღიღინით, პირმოღიმარი, როგორი ღიმილითაც მან სამშობლო სცენის ფარდა გადასწია...

გადასწია ფარდასა და ქართული ხელოვნების ცისკარიც აღმოაბრწყინა...

აღმოაბრწყინა, მაგრამ დღეს, 30 წლის სასახელო და სადიადო ღვაწლის შემდეგ, ამ ცისკარს ბინდ-ბუნდი ეუფლა, სიბნელე მოეხვია...

სიბნელე მოეხვია სამშობლო სცენას, ქართულ ხელოვნების ტაძარს.

ქართულ ხელოვნების ტაძარში რაღაც სიკალიერე გამეფდა, ამ ტაძარს ერთი მკვიდრი სვეტთაგანი ჩამოენგრა...

ჩამოენგრა სვეტთაგანი არა ხელოვნურად აღგებული,—ბუნებრივი, თვითარსი... თვითარსი იყო იგი სიმბოლო ზენიპიერებისა, უკვდავი ხელოვნებისა...

უკვდავ ხელოვნებას ძლიერ კოტანი ჰყავს ისეთი ზემომადლებული ნიჭით დაჯილდოვებულნი, ღვთისაგან კაცთა შორის მშვენიერებისა, სიყვარულისა, ნეტარებისა და უმწიკლო გრძნობის გამომსახველნი, როგორიც ის იყო...

ის იყო ერთად ერთი თვის წრეში, თავის სფეროში, ისეთივე, როგორიც მისი ორი-სამი ამხანაგია თავთავის წრეში,—ყველა ერისა, წოდებისა, წლოვანებისა და ხნოვანების მაყურებელ-მსმენელთა ერთგვარად ზეაღმტაცებელი...

ზე-აღმტაცებელი იყო ყველა იმისი, ვინც ერთხელ მაინც ნახავდა მისგან ხოროცშესხმულს ჩვენის ცხოვრ

ცხოვრების ტიპებს...

თავიანთს განმახორციელებელს, სულხორცის შემსხმელს...

სულხორც შემსხმელი ტიპები აწ ჰგლოვებენ თვის პირველ ხატებას... პირველი ხატება ესე იყო **ანი და ბანი** ქართული ეროვნული სცენისა .. ქართულ ეროვნულ სცენას მოუკვდა „ხანუმა“, „ხამფერა“ „ფოროშარი“, „ბაბარე“... მოუკვდა სული თვითშემომქმედი...

თვითშემომქმედი იყო იგი, ვისაც ეროვნული სცენის დაობლებული კერა და მასთან ერთად მთელი ქართველი ერის მოწინავე, შეგნებული ნაწილი დღეს მიწას აბარებს...

დღეს მიწას აბარებს უჟკნობ ყვავილს, ფასდაუდებელს თვალს, ძვირად საპოვნელს მარგალიტს, მზის პირველ სხივით შენატყორცსა და ბუნების უმანკო წიაღიდან გამონაყურს კამკამა, უკვდავების წყაროს...

უკვდავების წყაროს ჩქეფა შეწყდა მელპომენის ტაძარში, ქართულ თეატრში, სახალხო სცენაზე, მიყრუებულ დაბა-სოფლებში... ყველგან, ყველგან, სადაც-კი ქართულ ხელოვნების ტაძარია და მისი ხმა განისმოდა...

... განისმოდა და აწ აღარ განისმის ხმა მისი ნეტარი და ხელოვნების პანთეონს ჩაესვენა..

ი—ი

# ნ ა ტ ო ს

ჩვენ როგორც ტირილი და ბლოვა ვიცით, ისე ცოცხალი მოდვაწის დაფასება რომ ვიცოდეთ, ქართველთა გაბოროტებული დღის სიცხადე იმდენ შხამს აღარ შეგასმევდა, რამდენიც შენ სიცოცხლეში განიცადე...

მაგრამ შენ მაინც მაღლა გეჭირა დროშა ქართული სცენის აყვავებისა და სულის უკანასკნელ ამოგმინვამდე ჩვენი სცენის დედაბოძად იყავი.

ასიკომ სცენა გაახალხოსნა, შენ კი სარკეთ გაუხდი ამ ხალხოსნობას და ჩვენს ავსა და კარგს იშვიათის ხელოვნებით გვიჩვენებდი...

მაშ, ნურცალა ყოფილა ოხვრა ჩვენი ოხერად „ხანუმასი“ და ცრემლი ჩვენი ცრემლად „ფოროშარისა“...

გვიყვარდესმცა შენი პირმშო შვილი—ქართული სცენა—ისეთისავე ძლიერებით, როგორც გიყვარდა შენ იგი და იქნება მაშინ ღირსი ვიყოთ ღირსეულად აღსრულებულ მაიშვილის პირისუფლობისა!.. **ია ეკალაძე**

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა ხანუმას როლში

# † ნ. მ. გ ა ბ უ ნ ი ა-ც ა გ ა რ ლ ი ს ა

(ნეკროლოგი)

16 აგვისტოს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაცვალა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა იყო შვიდი ნადიმბეკარის მერაბ გაბუნიასი, რომელსაც არაფერი ჭქონდა საერთო სტენასთან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ „სამი თვის სწავლას“, როდესაც ნატო მაბარებული იყო ერთ რუსის ოჯახში გორში, მას თითქმის არაფერი სწავლა-განათლება არ მიუღია: ქართული წერა-კითხვა ასწავლა ბებიამ, ძალიერ მხნე და ნიჭიერმა ადამიანმა. ბებიასვე ზეგავლენით დაიწყო ნატომ ლექსების წერა, მაგრამ პოეტური ნიჭით განგებას არ დაეკალდაღვებია იგი. სამგიერად უხვად იყო შემკული სასტენო ნიჭით.

ჯერ კიდევ 16 წლის არ იქნებოდა, როდესაც პირველად გამოვიდა სტენაზე. გ. ერისთავეთ პიესაში „ძეულწში“. შეასრულა მონაყარდასის როლი. წარმოდგენის შემდეგ კულისებში ავიდა დავით ერისთავი, „სამშობლოს“ ავტორი, წარმოდგენის სახსოვად საგანგებოდ ეორში ჩამოსული თბილისიდან. მერაბმა დავითს გაცნო თავისი ქალი. დავითმა აქვე ჩამოართვა მერაბს პირობა, რომ ნატოს ჩამოიყვანდა თბილისში, ერთ პიესაში მონაწილეობის მისაღებად. 1876 წელს მერაბს, დაპირებისამებრ, მიჰყავს ნატო თბილისში, სადაც იგი თამაშობს დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესაში „გეო, მინას და კომპანია“. ნატოს მოხდენილმა თამაშობამ და შშვენიერმა სამღერამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრეენი. ბევრი ეხვეწენ მერაბს დაეტოვებია ქალი ქართულ სტენაზე სათამაშოდ, მაგრამ სათაკილოდ მაჩნდა თავის ქალის მოხიბლა შესვლა და ისევ გორს წაიყვანა. იქ კიდევ რაღენჯერმე მოუხდა ნატოს თამაშობა.

სათეატრო მოდგაწენი მაინც იმედს არ ჭკარგავდენ და მიწერ-მოწერა გამართეს მერაბთან; სოხოვდენ ნატოსთვის სტენაზე თამაშის ნება მეცა; მერაბი არასერეს გულისთვის არ დასთანხმდა. მაგრამ რამდენჯერმე თამაშმა, სიზოგადოების ქებამ და „ვაშა“-მ თავისი გაიტანა. პირველი გამარჯვებით თავბრუ დასხმული ნატო მხოლოდ ამაზე ფიქრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როგორ მოჭვეფდრდა მუდმივ დასმა; ტოტ ხნის შემდეგ ნატო ბ კვლავ წეკვეტ კოსხოვად დასთან წასულიო ობიდანში: იგი კეკვარა მამის და წაჭეკა ობიდანში ხასლ მიჩბელს.

1879 წლიდან ნატო შედის ახლად დაარსებულ დასში; მას აქეო მთელი ოდა ათი წელიწადი მხნედ განაგრძობს მუშობას ქართული სცენის სასახელოდ. და მართლაც ფასდაუდებელი ამგვი მოეძღვის სამშობლო სცენის წინაშე.

მამმა ბუნებრივმა ბრწყინვალე ნიჭმა შეჭქმნა შესანიშნავი სკოლა ადგილობრივი ცხოვრებისა, და მეცხალინეობამ პირველ რიგში წამოაყენა „ხანუმ“, „ხოთაბალო“ და სხვ. ვინ არ მოუყვანია ადგილებში მისგან შესრულებულ როლებს: „ხანუმის“, „ხამფერას“, „ქაჩქანეს“, „ფროშარს“ და სხ.?

ტუფლად-კი არ ამბობდა მხცოვანი დრამატურგი ხუხუკაანი—ნატო რომ არ მყავდეს, ჩემი პიესები არაფრად ღირებო!

ბარშინ ნოემბერში გადასუხადეს 30 წლის მოდვაწეობის იუბილე; სულ 52 წლის არც კი იყო განსვენებული ნ. მ. და, რასკვირველია, ქართული სცენა და ქართველი ერი ძალიერ გულ-ნატკენია ასეთი ძვირფასი ნაკლის უდროოდ დაკარგვით.

ამ ზაფხულს ს. ზემო-ხვედრეთში იყო ასკვარაოდ. ეს მშვენიერად გრძობდა თავს; თავისებურად ბედნიერ, ხუმრობდა და ეცადო წარმოდგენებსაც კი მაიდო მანაწილეობა. მხოლოდ მატარებელში შეა ქარს დაუგრილდეს და გაცივებულა. ამ ნიადაგზე გაჭეზნდა ფილტვების ანთება და მასმა სიტლმ გულმა ვეღარ გაძლიანა ასეთი ძმაძე ავადმყოფობა

ჯერ კიდევ ბევრ დიდს ეკვლასთავის ცხადი იყო, რომ ნატოს წუთები დათვლილია; მხოლოდ „მაკვანდით“ თუოს სუნთქვაკა სიცოდავი. უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს მას მეგრძნობიარობა და მეგრად ეორძოდა სიკვდილს, ვერ დაეკერეთა, რომ ამ წუთასთვეულ უნდა გაშოსთხოვებოდა, სკვერობდა, როდესაც ნათესავეს ტრემლეს შეამჩნევდა... 16 აგვ. დილით ულმობელმა სიკვდილმა საუკუნოდ მოგვტეტა საუკარელი და ძვირფასი ადამიანი, რომლის ხსენება საუკუნოდ დარჩა ქართველთა შორის.

განსვენებული იყო მეუღლე ჩვენის სახელოვანის დრამატურგის ასეთ ცაკარდისა, რომელიც ამ ათის წლის წინად გარდაიცვალა...

ნ. მ. კბუნაა, როგორც ნამდვილი ქართველი ადამიანი, ხუმრა მოსაუბრე, მოსიმღერე და მოდხანე, მადლებული იყო ეკარ წარჩინებულ ოჯახში—ქართველებში და ხამხებში...

ნ. მ. კბუნიას ჭეკვეს ერთი ძმა და ბოხოვილი დები. აგრეთვე შვილობილი—თამარა კიენაძე, მეუღლე ნარაკეიძისა.

## ნ. მ. ეგბუნია-ცაგარლის ავადმყოფობა და გარდაცვალება

ნ. მ. კბუნია-ცაგარლისა ამ ზაფხულს ს. ხვედურეთში საკარგად იყო, სადაც მხიარულად და ჯანსაღად გაატარა დრო; უკანასკნელად „ხანუმ“-შიც კი ითამაშა...

აგვისტოს პირველ რიგზეებში ტოტ უბუნებად შეაქმნა, 8 აგვისტოს ობიდანის ჩამოვიდა, ლოგინად ჩაწვა...

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ შეიტყო თუ არა ამ დამსახურებულ მსახიობის ავადმოფობა, მაშინვე ბეჭითად შეუდგა მის განკურნებას. მიუჩინა ექიმები და მომვლელნი...

გამგეობის თავმჯდომარე ბ. ნ. გ. ქართველიშვილი, წევრნი: ბ.ბ. ს. ბ. შახინოვი, შ. მიქელაძე დღეში სამჯერ-ოთხჯერ ავადმყოფს დახედავენ ხოლმე... ე. მ. სოფრომა-ასპიშაძისა, ელ. ჩერქეზიშვილი ბ. ნუბიერიძე, ვალ. გუნია, ვალ. ალ.-მესხიშვილი და სხვანი თითქმის განუშორებლად თავს დასტრიალებენენ... მკურნალობას ექიმი ს. ალშვილი, სოთიბარიდ დიპრენიდენ ს. დასაშვილი, ტ. ქაქაძე და შ. მიქელაძე.

ეთვალიერა დოსანსძიაა აქმნა მიდებული, რომ განეკურნა ძვირფასი ადამიანი, მაგრამ ულმობელ ხვრის წინააღმდეგ ვერაფერი შესძლეს: იგი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

უკანასკნელ წუთში ვალ. გუნია შეესწრო განსვენებულს!..

რადგან ბანაშვიდების დროს ბინა ვერ დაიტევდა პატივის მცემელთა, ამიტომ გაშვებების განკარგულებით მიცვალებულის გვამი ამავე სალამის 10 საათზე გადასვენებულ იქმნა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

დაკრძალვის მოწეობა ქართ. დრამ. საზოგ. კომეგობამ იკისრა. განკარგულება ეს წეს-რიგის დაცვ ვეკვალ ვალერან გუნიას.

ნატო გაბუნია ახალგაზდობაში

# ნატო გაბუნია

**ოც და ათი წლის წინად**

დღეს დამარხავენ ნატ. გაბუნიას. როგორ უცნაურათ უნდა მეჩვენოს ეს მოვლენა მე, რომელიც დავესწარ მისი ნიჭის დაბადებას.

მახსოვს განსვენებული 1877 წლიდამ, როდესაც ის გორის სცენაზე, სულ ახალგაზდა, თამაშობდა ხამფერას როლს სუნდუკიანცის „ხათაბალა"-ში.

თამაშობდა როგორც დიდად ნიჭიერი არტისტი, თუმცა არსად არ იყო ნასწავლი. თამაშობდა ინსტიქტით.

მისი ნიჭი, როგორც ცეცხლის ნაპერწკალი, ერთბაშად აანთებდა მაყურებლებს და აღტაცებაში მოჰყავდა მთელი ზალა.

1879 წ., როცა სამუდამო დასს ვარდგენდი თბილისში ერთი პატარა წრის მონდობილობით,—მე უნებლიედ მომაგონდა გაბუნიას ნიჭიერი თამაშობა გორში და ენატრულობდი მის მოწვევას სამუდამო სცენაზე. დაარსებება მისი, როგორც სხვა ქალებისა—სცენის მოყვარულებისა, მეტად ძნელი იყო. ყველას ეთაკილებოდა არტისტ ქალათ ჩაწერა. ყველას ეგონა, რო ქალი, თუ მუდმივ სცენაზე იქნება, ვერას დროს ქმარს ვერ იშოვნის და სახელს გაიტეხს. მაგრამ ნატ. გაბუნიას ისე უყვარდა სცენა, რო ბოლოს დაგვპირდა სამუდამო დასში ჩაწერას. ხოლო მამა მისი, მერაბი არ იყო თანახმა. დავ. ერისთავმა, რომელიც ოფიციალურად ჩვენს წრეში არ იყო, მაგრამ ნამდვილად ბევრად გვეხმარებოდა, იკისრა დაათანხმოს მერაბ გაბუნია. მერაბი მისი ძველი ნაცნობი და პატივისმცემელი იყო, მაგრამ მაინც გაჯიუტდა.

ამის მიუხედავათ, სამუდამო დასის შედგენის წინათ, 1879 წ., მარტში, ნ. გაბუნია ჩვენის მოწვევით ჩამოვიდა თბილისს და ითამაშა აქ (სამუსიკო სკოლის სადგომში, სომხურ სემინარიის სახლში,) დ. ერისთავისაგან გადმოკეთებულ კომედიაში „გეო, მინას და კომპ." ნ. გაბუნიას როგორღაც არ ეხერხებოდა უცხო ენიდამ გადაკეთებულ პიესაში თამაშობა, მაგრამ მაინც ძლიერ მოეწონა მაყურებლებს. ამას გარდა ამავე საღამოს იმღერა თავის მშვე-

ნიერი ხმით და საზოგადო სიმპატია მოიპოვა ერთბაშათ.

იმავ წელს ზაფხულს ნატ. გაბუნია სრულიათ შეგვიერთდა სამუდამო დასს და 1 ენკენისთვიდამ დავიწყეთ სახაზინო თეატრში (ინჟინერების ბაღში) პირველი სეზონი.

თამაშობდა ის თითქმის ყოველ კვირა და სულ ახალ როლებს. ყოველის გამოსვლით ის უფრო მეტად მოსწონდა საზოგადოებას. სეზონის ბოლოს, თავის ბენეფისში, ითამაშა აკ. წერეთლის „კინტო“, მგონია მისთვის განსაკუთრებით დაწერილი, და ყველანი აღტაცებაში მოიყვანა.

გაიარა მას შემდეგ ოც და ათმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ის გათხოვდა; იმის ქმარი (ა. ცაგარელი) ქალაქს გარეთ გადაიყვანეს სამსახურში. დაქვრივდა... ქართულმა სცენამ ბევრი განსაცდელი გამოიარა; მისი მოთავეები იცვლებოდნენ, თითქმის ყოველწლივ, მოთამაშენიც ხშირად იცვლებოდნენ, რჩებოდა მხოლოდ ნატ. გაბუნია და ორიოდ კიდევ სხვა მოღვაწე და ერთგულათ, შეუწყვეტლათ ემსახურებოდნენ ქართულ სცენას. უსცენოთ ვერც თითონ განსვენებული, ვერც მისი თაყვანისმცემლები ვერ წარმოიდგენდნენ იმას. ქართული სცენა და ნატ. გაბუნია განუშორებელნი იყვნენ აქამდისინ. ხოლო ულმობელმა ბედმა ეხლა მოაკლო სცენას მისი დამამშვენებელი ალმასი.

ვისაც უყვარს ქართული სცენა, ადვილად ვერ დაივიწყებს ნატოს დაუფასებელ ღვაწლს. ქართული სცენა მისი სიკვდილით დაობლდა!

**გ. თუმანიშვილი**

# გაწყდა სიმი

(ნ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას)

Пусть арфа сломана, аккордъ еще рыдаетъ,
Пусть жертвенникъ разбитъ, огонь еще пылаетъ.

**Надсонъ.**

გაწყდა სიმი... გლოვის ჰიმნი კვნესით მოწყდა ხმას მშობლიურს,
ცის ეთერში გაილესა, შეუერთდა აკორდს ციურს.
გაწყდა სიმი... მწუხრის ღიმი დაესვენა სახეს ღვთიურს,
ზეცა ისმენს სხივ-გაშლილი მოთქმა-ქვითინს ამ ქვეყნიურს:

ვინ უკმიოს საკურთხეველს? ვინ ათრთოლოს გრძნობით სული?
მწარე ბედში ცრემლის მფრქვეველს ვინ მოჰგვაროს სიხარული?
გაჰქრა ცისკრის ნაპერწკალი, სპეტაკ სულში ანთებული,
გაწყდა სიმი... ჩამოინგრა ხიდი ზეცად გადებული...

მაგრამ ზეცამ მიწის კვნესას სიმფონიით გამოსძახა:
სული სცოცხლობს, უკვდავია, მხოლოდ ფერფლი დაიმარხა,
ვით მოკვდება, ვინც სამოთხის აღვამფრენი სახე ნახა,
ვინც სულისა კვეთებაში უკვდავება გამოსახა!..

გაწყდა სიმი... გლოვის ჰიმნი კვნესით მოწყდა ხმას მშობლიურ
ცის ეთერში გაილესაშეერთდა აკორდს ციურს...

**ს. აბაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატოს

მოკვდა „ხანუმა“.—ქართულმა სცენამ
ძაძა ჩაიცვა შავი და ბნელი,
გულის სიღრმეში ძარღვი ჩაუწყდა,
სულის ჩამდგმელი, მაცოცხლებელი.
მოკვდა „ფროშარი“.—შეწყდა უდროოთ
მისი კვნესა და სიცილ-ხარხარი,
მიწიურს ქვითინს, მოთქმა-ვედრებას
ზეიდან დასცა ბუნებამ ზარი.
ისედაც ობოლს და პატარა ერს
გამოაცალა კვლავ დიდი ძალა,
სიცილ-კისკისი, შვება და ლხენა
დაუნდობელმა ცრემლებათ სცვალა.

* * *

და აწ შენს ცხედარს დავცქერი მეცა
გულ-დათუთქული, თვალ-ცრემლიანი,
თვალწინ მიდგია შენგან განვლილი
გზა უანგარო და ეკლიანი —
და ვფიქრობ: ნუ თუ ესდენ უმადლო
არის ბუნება და მისი ძალი,
რომ ასე მალე დაუნდობელად
დაგახუჭინა სამუდმოთ თვალი?
სიცოცხლე გსურდა და სიცოცხლის წილ
აწ ეფარები უკუნეთს ბნელსა,
გაექეც მუხთალს, კვლავ ვინ დასცინოს
შენებრ ზვიადათ წუთი-სოფელსა?!.

* * *

შენ არ იყავ, რომ გვეფიცებოდი
კიდევ დიდი ხნის ომსა და ბრძოლას?
დამარცხდი განა?—რისთვის მოგვასწარ
შენს ოხრასკვნესას, სიკვდილთან თრთოლას.
გამოიღვიძე, დაგვეყივლ-დაგვყვირე,
მომავლისათვის დაგვლოც-გვაკურთხე...
გულს ნუ მოგვიკლავ... ნუ დაგვიობლე
„შენი ქვეყანა“ და მისი კუთხე!..

**ამხანაგი**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა მადამ ფროშარის (ორი ობოლი) როლში**

## უკანასკნელი სალამი

### გამქრალ შთაგონებას

დღეს უკანასკნელათ შევხედავთ ნატო გაბუნიას გაცივებულ ცხედარს. დღეს უკანასკნელ ვალს მოვიხდით მის წინაშე, ვისგანაც ასე დიდათა ვართ დავალებული.

ამ ქვეყნად ყველა თავის ბედის უმადურია. ადამიანი ვერ მისულა იქამდის, რომ ცოტათი არის კმაყოფილად ამოისუნთქოს — დასტკბეს იმ სილამაზით და მშვენიერებით, რაც ასე უხვად მოუცია ღვთაებას ბუნებისათვის და ვინ იცის, როდის მიაღწევს... მშვენიერებისა და სილამაზის წინამორბედნი ასე ცოტანი არიან და ამათაც ადრე უღებს ბოლოს ცხოვრების მოჭარბებული სისაძაგლე...

გული გიკვდება, სული ღონდება, როდესაც კარგავ ხელოვნების ასეთ ქურუმებს... ს მით უფრო გულსაკლავია, რომ მსახიობისებედი მეტის-მეტად უმადურია, სხვა შემოქმედის ბედთან შედარებით. ყველამ იცის, რომ მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე სტოვებს თავის უკვდავ-საყოფელ ნაწარმოებს, მსახიობი კი, რაც უნდა გენიოსი იყოს იგი, ამ საშუალებას მოკლებულია. მსახიობის გავლენა მანამ არსებობს, სანამ ცოცხალია ის თაობა, რომელიც მას უყურებდა, მითი სტკბებოდა... თუმცა ხსოვნა მისი საშვილი-შვილოდ გადაეცემა, მაგრამ ცარიელი სიტყვა გულს ვერ მოფხანს კაცს, ქართველისა არ იყოს.

ნატო გაბუნია ეკუთნოდა ძველი მოდგმის მსახიობთ, რომელნიც მხოლოდ შინაგანი იმპულსის, დამალული, უხილავი ძალის მეოხებით ქმნიდენ თავის და უნებურად ისეთ მხატვრულ ტიპებს, როგორიც იყო ნატოს ხანუმა, ქიჩქინე, ხამფერა, ფროშარი და სხვ...

ნატო არ იცნობდა არავითარ სკოლას, რაც ასე ბლომათ მიმოფანტულა დღეს და ამახინჯებს, უმეტეს შემთხვევაში, ბევრ ნიჭს...

თვით ნატოს ბუნება ულეველი ზღვა იყო და მისი ნიჭი, მისი მხატვრული გრძნობა იმდენად ფაქიზი, მგრძნობიარე და მძლავრი, რომ თავისთავად უკარნახებდა მას, რაც საჭირო იყო. დღეს პირობები შეიცვალა. ადამიანი დაკნინდა, მდიდარი ბუნებით დაჯილდოვებულნი აღარ ჩნდებიან... თან პროგრესმა, ცივილიზაციამ სხვა მოითხოვა... გარდა ბუნებრივი ნიჭისა, რაც უნდა დიდი იყოს იგი — დღეს საჭიროა ამ ნიჭის სხვადასხვა ფარგალში ჩასმა — იმის და მიხედვით, თუ რაა საბოლოო მიზანი... ამას ჩვეულებრივი ადამიანები დიდის ვაგლახით ახერხებენ მრავალ გზის ფიქრის შემდეგ, ნატო კი სრულიად თავისუფლათ ჩადიოდა ყოველივე ამას...

ვინ იქნება, რომ ნატოს-მიერ გაპიროვნებული გრძნობა ენახოს და ღრმათ არ ჩასჭედოდეს იგი გულში. თვითონ მხატვართან ერთად არ შეზიზღებოდეს ქვენა გრძნობანი და არ გატაცებულიყოს კეთილშობილური ზრახვებით. ვის არ დაუწყია გულიანი ხარხარი და ამით შვება არ მისცემია, როდესაც ნატოს მადლიანი ბუნება ისე სხარტათ, ისე უბრალოთ, ბუნებრივათ თვალწინ გადგვიშლიდა ათასგვარ კომიკურ მდგომარეობას: ადამიანის სიბეჩავე იყო ეგა, გაიძვერობა, სიფლიდე, სიბრიყვე, თუ სხვა რამ...

ნუ დავივიწყებთ ნატოს პრინციპებს, მის შემოქმედებას — ეგ არის საუკეთესო სკოლა ყველა იმისთვის, ვისაც კი სცენა სწამს და უყვარს. თუ ჩვენ ჩავუკვირდებით მისს უნებას, შემოქმედებას და ვეცდებთ მას დავუახლოვდეთ, რავდენადაც კი შეგვეძლება — ეს იქნება საუკეთესო ძეგლი — საუმჯობესო პატივის ცემა ძვირფასი მხატვრის ხსოვნისა...

**აკაკი ფალავა**



## ეჰ, ვინ უწყის...

**ნატოს ხსოვნას**

მახსოვს, მზეო, სცენას შავ-ბნელს
სხივს სტყორცნიდი, აშუქებდი.
ყინვის ნაკვთზე შეკუმშული
იცინოდი... ხითხითებდი...
ეჰ, ვინ უწყის ცოდვის შვილნი
თუ რავდენი გვახარხარე;
ეჰ, ვინ უწყის „კულისებში“
თუ რავდენი ცრემლი ჰღვარე?!.

**ი. გრიშაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა ხამფერას როლში

## უასდაუდებელი დანაკლისი

იგი, რომელიც ქართულ სცენის დამამშვენებელი იყო, იგი, რომელიც უნიჭიერესი დამაიურათებელი, განმახორციელებელი იყო ა. ცაგარლის, გ. სუნდუკიანცის და სხვა დრამატურგთა მიერ გამოხატული ტიპებისა, იგი, რომელიც შეუდარებლათ გვიხატავდა „ხანუმას“, „მადამ ფროშარს“, „დაქცეულ ოჯახის“ ოსეფას ფანტია ცოლს და სხვა ტიპებს, იგი რომლის იუბილე რავდენმე თვის წინად, დიდის აღტაცებით იდღესასწაულა არამც თუ მხოლოდ ქართველმა საზოგადოებამ, არამედ მთელის კავკასიის ერთა წარმომადგენლობამ, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოების და პოლიტიკურ მიმართულებისა, — იგი დღეს აღარ არს, და ეს მას შემდეგ, როდესაც მის იუბილეს დროს, მთელმა ხალხმა უსურვა— „ჯერ კიდევ დიდხანს იცოცხლე ქართული სცენისათვისო“.

სჩანს ჩვენმა უგულითადესმა სურვილმან არ გასჭრა.

რა ვთქვათ, როგორ გამოვსთქვათ თუ რასა გრძნობს ჩვენი გული ამ ფრიად დიდის ნიჭის დაკარგვის გამო.

როდესაც გული გრძნობს, — კალამი აღარ მოქმედობს... ბაგე სდუმს...

დაობლდა ქართველ მსახიობთა დასი. საგრძნობი რამ დაკარგა ქართულმა სცენამ.

უკეთესი ადამიანი ჩამოშორდა საზოგადოებას. ჩვენ, როგორც ტომით სომეხი, ღრმათა ვგრძნობთ მის დაკარგვის სიმწვავეს, რადგანაც იგი იყო ორ მოძმე ერთა შორის სოლიდარობის და ძმობის მქადაგებელი მოციქული, სცენიდან და ცხოვრებაში.

ჩვენ რომ განსვენებულ ნიჭიერის მსახიობქალის იუბილეს დროს მის ქებასა ვწერდით და ვადიდებდით სომხურ პრესაში, დღეს უზომო მწუხარებით ვწერთ მის ნეკროლოგს.

ჩვენს ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ მოძმე ქართველ ტომს ამ დიდის დანაკლისის გამო.

თვალ ცრემლიანი, მუხლ მოდრეკილი ქედს ვიხრით შენი ახალი სამარის წინაშე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიძახით: — Sit tini terra levis — და სუმბუქ გექმნეს შენ მიწა, დაუფასებელო მუშაკო ხელოვნებისა, შეუდარებელო მსახიობო მრავალტანჯულ ქართული სცენისა...

ვეღარ მოვისმენთ საყვარელ ნატოს ზარივით წკრიალა ხმას, ვეღარ დაეტკბებით მის ლამაზ თამაშობით.

საუკუნოდ გაჩერდენ მისი ლამაზი თითები, ვეღარ მოვისმენთ დაირის ხმას და მის მელოდიურ სიმღერას.

Artemius

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას

ტანჯვა-წვალება, ვაი-ვაგლახი, დაუსრულებელი გოდება არა გვშორდება ქართველებს. ერთი მეორეზე გვეცლება ხელიდან საუკეთესო შემოქმედი ძალები...

ულმობელმა სიკვდილმა ჩააქრო ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენს შავ ღრუბლებით მოცულ ცაზე... გულქვა განგებამ გამოანგრია ქართული ხელოვნების ერთი დიდა-ბოძთაგანი...

აღარა გვყავს **ნატო**, რომლის მხოლოდ სახელიც-კი ორკეცებდა ქართველთ გულის ცემას, ახალისებდა სულს...

აღარა გვყავს **ნატო**, რომლის თამაშის დანახვაზე ყოველი ქართველის თვალები სიამაყეს ჰხატავდენ და ყოველი ჩვენგანის გულში იელვებდა ხოლმე: „არ მოშეკვდარ, მხიდოდ სძინავს და ისევ კიდევაძენს“-ო.

განქრა ბრწყინვალე ვარსკვლავი, საუკეთესო სკოლის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი...

დაობლებული, ძაძით შემოსილნი, თმა გაშლილნი დასტირიან ჯერ გაუცივებელს გვამს: ხანუმა, ფოროშარი, ხამფერა, ქიჩქინე...

ჰგლოვობს ქართული სცენა და მთელი ქართველი ერი.

ტირილი... მხოლოდ ტირილი...

განა ახლანდელ ქართველებს სხვა რამ შეგვიძლიან?!.

პატიოსანო, მხნე მუშაკო, ქართლის შვილო! შეუნდე, პირმშოვ, შენს მშობელს საქართველოს, თუ სიცოცხლის დროს მისმა შვილმა უვიცობის გამო შესაფერი პატივი ვერა გცა, შესაფერად ვერ დაფასა ის დიადი ღვაწლი, რომელიც მიგიძღვის შენ ქართული სცენის აყვავებაში!..

უდროოდ მოწყვეტილო სცენის ვარსკვლავო! ის შუქი, რომელიც ფართო ზოლად მისდევს შენგნით განაკვალ გზას, თავდებია მისი, რომ თუ აწმყომ ვერა, მომავალი მაინც შესძლებს შენს დაფასებას...

ხელოხლები ძეგლი, რომელიც სიცოცხლეშივე აგიგო შენმა შემოქმედებითი ნიჭმა, საუკუნოდ ქმნის შენს სახელს ყოველ ქართველის გულში...

**კორდელი**

## აღარ გვყავს ნატო!...

ჩაქრა მზის სხივი, დაიმსხერა ჩანგი,
ცრემლი მოჰხეთქა მწუხარებამ!
გლოვობს სამშობლო... შვებისა ჰანგი
გულში ჩაახრჩო მდუღარებამ.

ვტირით: უწყალო ბედისა წერამ
მოგვტაცა ბედკრულთ ნეტარი შვილი:
აღარ გვყავს ნატო... გლოვის სიმღერამ
გვამცნო სიობლე, გულის ტკივილი!

**ი. მჭედლიშვილი**

## სიკვდილი...

**ნ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას**

(მისი გარდაცვალებისა გამო)

სიკვდილი...

აი, მტერ-მოყვარე ბუნებისა, თვით განგებისა; ხოლო სენი ულმობელი არე-მარისა, ადამ-შვილისა.

იგი მძლეველი ყოველისა ძლიერისა თუ სუსტისა.

იგი მჭრელია, ვით ცელი; სთიბავს ყოველსა: დაბალს თუ მაღალსა, ბოროტს თუ კეთილსა...

იგი სპობს, მიწასთან ათანასწორებს...

იგი თანასწორად ჰკლავს უნაყოფიერს, ნაყოფიერსა...

მისგან ყოველი მკვდარია, მკვდარი...

მაგრამ, არა! ვერ ჰკლავს ნაყოფიერსა: მხოლოდ სცენის სხეულითა, ვითა ყვავილსა სურნელოვანსა...

სიკვდილი?!...

იგი ჰკლავს უხეიროსა, ვითა უსუნო ყვავილოვანსა; კეთილს-კი მხოლოდ გარდასცვლის, ვით აჭკნობს ვარდსა სურნელოვანსა...

აი, იგიცა გარდაცვლილია, ვით ია მოწყვეტილი ჩვენს ხელში დამჭკნარია; ხოლო მისი სული-კი, ვით სურნელება, ჩვენს ხსოვნაშია...

**ს. გლახაშვილი**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა ქიჩქინეს (ქოროღლი) როლში**

## ნატო გაბუნია, როგორც მსახიობი

ბევრი-რამ შემეძლო მეოქვა განსვენებულ მსახიობის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სასცენო მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ დღეს, ჩვენის სცენის საერთო უბედურების დროს, დღეს, როდესაც განსვენებულის ცხედარი არაკია გაცვებული, დღეს, როდესაც არა-კი მინდა ვირწმუნო, რომ ნატო გაბუნია აღარ სუნთქავს, არ ლაპარაკობს,—„გონება ჩედობის, გაშმაგებულს ჯზრა მერეკა“ და აღარ ვიცი, საიდან დავიწყო?!.

ალბათ შემდეგ უფრო ფართედ შეეხებიან მისს სამსახიობო მოღვაწეობას და ამ ჟამად მე, მხოლოდ ერთ საგანზე მივაქცევ მკითხველთა—და განსაკუთრებით—სცენის მოყვარეთა ყურადღებას.

ჩვენ—მსახიობთა და სცენის მოყვარეთა უმეტესობა რომ ჟინიანობის სენითა ვართ შეპყრობილი, ვინ არ იცის... ამ სენს მოკლებული იყო განსვენებული და მეც სწორედ ეს მინდა აღვნიშნო... ნატო გაბუნია თითქმის ათი წელიწადი მუშაობდა სახალხო თეატრის სცენაზე და ამ ათის წლის განმავლობაში არ მახსოვს დაეგვიანოს და რეპეტიციაზე თავის დროზე არ გამოცხადებულიყოს... ასჯერ ნათამაშევი პიესა რომ გვეთამაშნა და მას ასჯერ ნათამაშევი როლი ჰქონიყო, რეპეტიციას ისე გადიოდა, თითქოს ახლად სთამაშობსო...

არა გვგავდა ჩვენ—იმ სცენის მოყვარეთა და მსახიობთ, რომელთაც თუმცა ხშირად როლი არ ვიცით, მაინც ამაყად და მედიდურად გავიძახით: თავი გამანებეთ, ხვალ გავივლიო, ანუ—წარმოდგენის ღამეს ვიტყვიო...

ამ სენს აცილებული იყო განსვენებული.

უკანასკნელად ქარელში მარგუნა ბედმა ნატო გაბუნიასთან თამაშობა.

ნატო ხანუმა“ თამაშობდა, მე ჯოფეს. ჩვენთან ერთად მონაწილეობდენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი. მახსოვს, პიესის ერთი ადგილის რეპეტიცია სამჯერ გავიარეთ და ნატო, თითქოს არასოდეს არ ეთამაშნოს ეს როლიო, სამჯერვე ხალისიანად გადიოდა რეპეტიციას...

ერთი შემთხვევაც. ქარელში რო მივედი, წარმოდგენის დღეს, ვნახე „სცენა“. არაფერი არ იყო თავის რიგზე. სასცენო ფიცრები აქა-იქ ეყარა, იქაურობა ნაგვით იყო სავსე, ორი სამი საათის შემდეგ წარმოდგენა უნდა დაეწყოთ და სრულიად არაფერი იყო მომზადებული, ხოლო მეთაურნი-კი, თითქოს არაფერი ამბავიაო, უმოქმედოთ იყვენ.— ოლ აარ იყოს მეწყინა მეთაურთა ასეთი დაუდევრობა, ჯავრი მომივიდა...

ეს შემნიშნა ნატო გაბუნიამ და შემოგიბღვირა: რაო, რა ცხვირი ჩამოუშვი?—თუ კი მე ვთამაშობ ამ სცენაზე, შენ რაღა ხარო!..

რასაკვირველია, დავარწმუნე, რომ ჩემი გულის წყრომა მას არ შეეხებოდა...

აქედან სჩანს, ნატო რავდენად თავდადებული იყო, რომ სულ უბრალო შენობაშიაც არ უკადრისობდა თამაშობას...

იშვიათად თუ მოიპოვება მეორე მსახიობი, რომელსაც ასე ჰქონდეს შესისხლხორცებული თავისი მოვალეობა სცენის წინაშე... იგი დიდის მოწიწებით ეპყრობოდა სცენას, თითქმის ეკრძალებოდა. არასოდეს ირ ივიწყებდა, რომ იგი წმინდა მოვალეობას ასრულებდა...

აი, რასა მწერს ქარელიდან „ხანუმა“-ს თამაშობის შესახებ:

**„ძვირფასო ძამია ნიკო!**

მოვიდა ჩვენი აღსასრულის დღე და მოგვდით ბარსეგეს სადმის ბოეზდაით, აქ ზემო ხვედურეოში, სადაც ესლა მე ვარ სტუმრად ჩემს დისწულ ხონასთან (ცოცაშვილის), რომელსაც შენტ იცნობ. აქ ვიქნებაო. სტანციადამ სამი ვერსი არის. მეორე დღეს წავალთ ქარელში, სადაც წარმოდგენას მართავენ. ჩვენ მხადად ერთნელ ვითამაშებთ, რადგანაც სოფელში სცენა ვერ მოახერხეს. და თუ შენ დათანხმდება (მე კი თანახმა ვარ), ვეორეს კალმზე გავმართოთ წარმოდგენა ბლეხა კაცებისთვის...

შემოსავალი ბლეხა-კაცებისთვის არის: „ბანო უნდა გავმართოთ“... და სხ.

ასე ესმოდა განსვენებულს ჭეშმარიტი მსახიობის დანიშნულება...

და ასეთი მასწავლებელი, აღმზრდელი, უკეთესი მაგალითის მაჩვენებელი, დღეს აღარა გვყავს...

იგი ცოე სამარეს ჩაესვენა და მასთან ერთად გაცივდა, დროებით მაინც, ჩვენი თეატრის კერა...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მასწავლებელო-ხელოვანო, მოზარდი თაობის წასაბაძი მაგალითო!.. **ნიკო გოცირიძე**

## ჯოჯოხეთიდან სამოთხეში

(ნატალია გაბუნიას ხსოვნას)

გამოჯვლია მწარე ვაება შენს სიცოცხლეში, დაბადებულს და აღზრდილს ამ ჯოჯოხეთში...

ცხოვრებამ გამოგაწრთო სიღარიბეში, შხამ-გესლში... არ გაკლებდა შეურაცხყოფას, არ ასცდენიხარ გადაგვარებულ ხალხის ბოროტ ენასა!.. თამამად, მუდამ პირ-მცინავი, გზას ეკლიანს ჰკაფავდი; ვერაგობას, გაიძვერობას, ფუქსავატობას ამაყად სცენაზე გვიხატავდი.

შენის თამაშით ჩვენს თავზედვე გვაცინებდი!..

ჩვენსა ჩრდილსა შენვე ნიღაბს ხდიდი!..

შენ შესწორე თავი სცენასა, გადალახე ძველი ზნე-ჩვეულება და ამით გაუღე კარი წმიდა ტაძრისა ყველას, ვისაც სული იწევდა მსახიობათ.

შენის სიცილით, შენის ხარხარით მკურნალობდი ჩვენს იარებსა, ჩვენ ამას ვგრძნობდით და დაგაფასეთ კიდეცა...

თუმცა სამარეში ჩახვედი, მაინც ხარხარებს შენი სული თვალხილულ ჯოჯოხეთშია და ბევრს კიდევ აუხელს თვალსა!..

სულმნათო ადამიანო! წადი ახლა კი სამოთხეშია, დიდი ღვაწლი მიგიძღვის შენს სამშობლოშია!..

არ დაგივიწყებთ, ჩვენო ნატალია, სამარადისოთ!,. **გიორგი ფოცხოველი**

## ნატო გაბუნია სახალხო სცენაზე

(მოგონება)

ჩვენი თეატრის მუშაკთა რაზმს გამოაკლდა დარსეული მეგრელი.

ქართველმა თეატრმა დაჭკარგა შეუდარებელი ნაწილი ადსავსე მსახიობი.

მსოფლიო ერთად დაკარგა ბევრი ისეთი რადი, რომლის ადმსრულებელი ჯერ არ მოფენია ჩვენს სცენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაად, დაეკარგა ენერგია, დეკარგა სტეის სიყვარული.

რა იყო ნატო სახალხო სტენისთვის?—ეშეიალ-თი მსახიობ-ადამიანი, რომელიც გაკვრეგების დრის მელმ ესმარებოდა ჩვენს სახალხო თეატრებს.

ეი, მაგალითი: გასულ ზამთარს, ვერის სახალხო ეუდიტორიაში, მოელოდნელად შეეცვალა ბეესს და ეერეპეტიციოდ მოგვიხდა სხვა ბეესის—„შელანის თინებისა“—თამაშობა. როგორც ეოველთვის ამ ჟამადაც მიემართეთ ნატოს, ვსთხოვეთ ეთამაშნა შელანი და გამოეკეკვანეთ უხერხელ მდგომარეობიდან.

ერგ-ეი შეფიქრებული, წამს თანხმობა გამოგეცხდა და ბეესიც ეთამაშეთ.

ამ სადამოს მოხდა ისეთი ფაქტი, რომელიც ერ დაგვიეწყდება ჩვენს სიცოცხლეში. როგორც მოგეხსენებით, ჩვენი ეუდიტორია ბეტრია და კეთილსები თითქმის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატო საადგარაკოდ ს. ზემო ხვედურეთში

საუცხოვო საღამოა!.. ცა ვარსკვლავებით მოჭედილა!... ბადრი მთვარე უხვად აფრქვევს ვერცხლისებურ შუქს ზემო-ხვედურეთის კეკლუცა მიდამოებს... ვსხედვართ აივანზე, ვსტკბებით წყნარი ბაასით და საღამოს საამურ სიოთი...

ამ დროს შორით მოისმა სევდიანი, წყნარი სიმღერა, რომელმაც გაგვიტაცა და მყისვე სიჩუმე გაამეფა,

ნელმა სიომ ჩვენამდის მოიტანა სიმღერის უკანასკნელი სიტყვებიც:

„ჩემო თავო! ვეღარ გეურნეენ წამდაო!
დადმართ, დადმართ, დაუეეეი წა მადაო!
იქ ჩაბრძანდა, სად გეღიან ფოდებეთ!
ბრათ, ნაჩინთ, კუბოთი და ფოდებეთ!
დაეეეწეეე, —ვინც გახსოვდა მარად ის,
ხეედ-დაკრეფეთ განისეენე მარადის!“

უკანასკნელმა ჰანგმა საოცრად დაიწკრიალა და ერთბაშად შესწყდა, მაგრამ მიელი არსება წარიტაცა და კიდევ დიდხანს გვესმოდა იგი. ვისხედით მოჯადოვებულნი, სმენად გადაქცეულნი... მომხიბვლელი საღამოს შთაბეჭდილებას შეუერთდა საუცხოვო სიმღერაც...

ვინ იყო ეს ჯადოქარი, რომელმაც აგრე წარიტაცა ჩვენი გული, დაგვავიწყა დროებით აქაური ჭირ-ვარამი?...

განა იკითხავს ამას ის, ვისაც ერთხელ მაინც გაუგონია ნატოს სიმღერა?..

მღეროდა ნატო, რომელიც საადგარაკოდ ჩამოსულიყო დასთან ზემო ხვედურეთში...

მეორე დღესვე გადავედით ნატოს სანახავად. ისეთივე ბჟიარული, ისეთივე დარბაისელი, ისევე დაუღალავი, როგორც სკენაზე... პირველი შეხვედვით გუშინდელი სიმღერის სევდის ნატამალიც კი არ ეტყობოდა, მხოლოდ ვინაც-კი ახლო იცნობდა ნატოს, შეატყობდა რაღაც არა ჩვეულებრივ სევდას.

— ძლიერ კარგად ვგრძნობ თავს,— გვიპასუხა ჩვენს კითხვაზე,—მე რა მიჭირს მშვენიერ ჰაერზე, გრილოში; თქვენა ხართ საბრალონი ამ ხოლერიანობის დროს, რომ იხრაკებით თბილისის სიცხეში...

და მართლაც, არ ეტყობოდა ავადმყოფობა, დილიდან საღამომდე დატრიალებდა შინ; უსაქმოდ ვერა სდგებოდა ერთ წამსაც... აქ კალოზე გადავიდოდა, იქ სადილ-ვახშმის გაკეთებას ეხმარებოდა, აქ სტუმრებს ამხიარულებდა და განა მარტო შინ!...

ნატოს ჩამოსვლის შემდეგ ზემო-ხვედურეთი სამხიარულო ადგილად გადაიქცა. რომელ ოჯახშიაც ნატო გადავიდოდა სტუმრად, იქვე შეიკრიბებოდა მთელი სოფლის ახალგაზრდობა და ატარებდა დროს. რასაკვირველია, მთელი სახოგადოების გამამხიარულებელი ნატო იყო...

ერთ ასეთ საღამოს ნატო პირდაპირ შეუდარებელი იყო. რუსი პოლკოვნიკი ყოველ ოჯახს სტუმრად ღა, აბა, ვინ იქნებოდა იმის გამართობელი ახალგაზრდებში. ნატო მიუჯდა გვერდსა და ისე მოჰხიბლა დარბაისლობით და საუცხოვო ბაასით მოხუცი პოლკოვნიკი, რომ უკანასკნელი ძლიერ ნასიამოვნები დარჩა და მასპინძელს დიდი მადლობა გადუხადა ნატოს მოწვევისათვის; მით უმეტეს საინტერესოა ეს ფაქტი, რომ ნატო თითქმის არ ლაპარაკობდა რუსულად და პოლკოვნიკმაც ქართული ცუდათ იცოდა...

ჩემს დროს ქარელში გამართეს წარმოდგენა... რასაკვირველია, საღამოს სულის ჩამდგმელი ნატო იყო...

ითამაშეს „ხანუმა“, მაგრამ „ხანუმა“—ნატოს ამ საღამოს რაღაც უგულობა ეტყობოდა, თითქოს გრძნობდა, რომ უკანასკნელად თამაშობდა. ხანდახან მხიარულების დროსაც, თუმცა იშვიათად, ნატოს თვალებს სევდა გადაებურვებოდა... ასეთ დროს ნატო უთხოვნელად მღეროდა ხანგრძლივ, შეუწყვეტლად, თითქოს უნდა სიმღერით გაიქარწყლოს სევდაო. წამოსვლის წინ დასამშვიდობებლად გადავედი.

— შენთვის ჩემი ბიოგრაფია არ მომიცია? მკითხა,

დაიწყო ძებნა, მაგრამ წიგნაკები შემოლეოდა და მითხრა: „რვაში ჩამოვალ თბილისში და იქ მოგცემო... როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს უკანასკნელი გამოთხოვება იყო. არასოდეს არ დამავიწყდება სევდიანი, მაგრამ ისევე მომღიმარე ნატოს სახე და უკანასკნელი ანგი მისი მომხიბვლელი სიმღერისა.

**გოლ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა უკანასკნელ ხანში**

## ვისზე როგორ იმოქმედა ნაცო გაბუნიას გარდაცვალებამ:

სიზარული მეხეთთ კეკარდ ნატო გაბუნიას გარდაცვალების ამბავი...

პირველად ვალ. გუნიამ აცნობა ნ. გაბუნიას ბინაზე მეოთხე ბ. ნებიერიძე ნატოს გარდაცვალება.

ბ. ნებიერიძისა ურუდ ქვეითინდა.

კ. მესხიმ გზაში შეიტყო; გამტკნარდა, ტუჩები და თვალები ჯუთმაშდა, მაგრამ ვერაფერი სოქვა სიმწარეთ.

ვალ. ალ.-მესხიშვილს ითავეს ამელაშვილმა აცნობა ეს ამბავი. მსხეთიბმ ვერ გეიგონა და ეკითხა: რაო?—რაცა განუმეორა—„ნატო ადარ გვეკვესო“: რაო?—რაცა ანუმეორა—„ნატო ადარ გვეკვესო“, ერუდ ამოიგმინ-ამოიუვარ და შეძრწუნდა... სიზარული ეოო მისი გამოხედვა და სახის კამომეტეეა დება...

ვალ. შალიკაშვილი—თითქო სხვის ანაბარი, საწარო, ძვირფასი განძი დაჭკარგოდეს და არ იცის სიათ წვიდესო, ისე ეოო გამტკნარებული...

ქართული დრამ. დასი მომაგად სეზონისათვის 16 აგვისტოს დილით შეკრებილიეო ახალი პიესის წასაკითხავად; მაგიდა და სკამები მოემზადებინათ დასასხდომად. ამ დროს მოვიდა ცნობა ნატო გაბუნიას გარდაცვალებისა. მთელ დასს თითქო ზამთრის მეინვარა სუსხმა კეკარა ტანშეო, შეკრთა, კრიჭა შეეკარა...

ნ. გ. ქართველიშვილი— უზომოდ შეწუხებული ხმას ვერ იღებს, უმეტესად დიდა იტქრება. თუ დადაპარაკებს, თითქო გულზე რაღაცა ჭეპენსო, პირისახის კუნთები ეძთერება... თვალებს ქქეთ-ქეთ აცეცებს, თითქო რაღაცას ეძებს, და უნდა კიდევ ერთხელ თვალი მოჭერას ქვეყნელში ჩამქრალს სინათლის შექსო...

ა. ბ. შიხინოვი თითქმის სრულებით არა დაპარაკობს, და თუ ხმას ამოიღებს,—ეს რა მოგვიგდა, რა დავკარგეთო!—იტეკვის ხოლმე.

ა. პ. სარაჯიშვილი, თითქო არ უნდა ვისაუბოდ დაპარაკი გიგონოსო, არცის უსმენსო, ტის კიდურში კიაცქერებს თვალდაუხამხამებლად და ვერ შერიგებია მომხდარს ამბავს...

ა. მ. კარგარეთელს—თვალო ტრემლი მოადგა,

არ იცის — რა თქვას... არ უნდა დაეჯერაო, რომ ნატო ადარ არის...

ვალ. გუნია — სიტყვას ვერ ჭეშმეტს მწუხარების გამოსათქმელად, ხანგრძლივ სიცხეში დაოქნილსა ჭეშეს... გაოგნებულია!

მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას ადარ უნდა ვასმეს შეხედის, თითქოს ადარც მზის სხივი ეპრანებაო; გულჩახვეული, თითქოს გული ერია ძვიოაკანი ჩაუწყვეტესო...

ვას. აბაშიძე — მდუმარეს... თითქო სხზოგადოებაში კარეკა ადარფერად ეპატრონეკა, თითქო მხარი მოსტეხესო...

ა. ქალანთარს, სომხურ გაზეთის „მშაკ"-ის რედაქტორს, შეეკითხა ჩვენი და ამბავ გაზეთის თანამშრომელი Artemius-ი: შეიტეეთ თუ არა ნატო გაბუნიას კარდაცვალებაზ? ქალთანარი ოდნავ სავარძელში მიეშვა, თვისდაუნებურად თვალები მიეღუნა და გამტკნარებით წარმოსთქვა — დიად, დიად!... არ შემძლ დიან სიტეკებით გამოვსთქვა ის, რასაც გვრძნობ, — და მასთან კიუწოდა ახლად დაწერილი ნეკროლოგიის ორგანადი...

ი. ს. მარკოზოვმა, „მშაკის" მეორე რედაქტორ-გამომეცემელმა, წამოიძახა — რა მეკითხ დავკრკეთ!.. და დადუმდა...

იოსებ იმედაშვილს რედაქციაში აცნობეს — შეეკვ კარდაცვალაო. იმედაშვილმა საკარძლიდან წამოიწია, ერუ ხმა გამოსცა, სული გაეკანდა, მცირე ხანს შემდეგ წაიდაბრაკა: „მოკვდა ქართველი სტენის ბუნებრივი დამბალი, ტრემლთა შორის სიცალი... ის ადარ არის, ადარ"!..

ტრ. რამიშვილმა თავის ბინაზე კიზეთში ამოიკითხა მსხვიბის კარდაცვალების ამბავი; თვალთ აუკრედდა, კოგერდა, არა სკურთდ წაკეხოული — თვალი თუ მტეუებსო, და წამოიძახა — НѢТЪ, НѢТЪ, ЭТО НЕ ВОЗМОЖНО... არ ეჯერკა, არა!.. დასაცხუალივით კიამეორა რეკვენკეკერმ.

## ქართული დრამატიკულ საზოგადოების გამგეობას

ეოველ ჩვენკანისთვის ქკორკესის, ქართველი სტენის ნაწილი მსხვიბამისნა, ადამ მერბის ასეული კაბუნაა-ცაკარლის კარდაცვალებით თავზარადეტეშელი, დრმა მწუხარებსა და კეულწრეკულ თანკერძნობას გეტხ:ადან ქართველ ხალხს დრამატიკულ საზოგადოების სახით.

**ალექსანდრე პეტრეს-ძე სარაჯიშვილი**



(ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას)

გულს, დაწყლულებულს,
სევდა ნაღველი აღარ ელევა.
ტანჯული მხარე კვლავ ძაძებშია,
ცლოვას ეძლევა.

მისწყდა სიმთ ჟღერა,
ტკბილი ჰანგი ვეღარ მოგვწვდება,
მხოლოდ ნაგრძნობი სამუდამოდ
გულს ჩაკვდება.

დამჭკნარ ვარდის წილ
სხვას ვერ ვნახავთ, იმედი ქრება,
კვლავ გული კვნესის უიმედოდ,
ცრემლი იღვრება...

**ნიკო წინა-შვილი**

## წერილი ამბები

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლეს** დღეს, 19 აგვისტოს, გამოსაკვნებენ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან და წმ. ნინოს კუკის სასაფლაოზე წაასვენებენ დასაკრძალავად.

**ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ** გვირგვინით შეამკო განსვენებულ მსახიობის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ცხედარი.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლში** ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ დაადგინა: გვირგვინით შეამკოს განსვენებულ მსახიობის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ცხედარი და დაკრძალვას დაესწროს.

**ზუბ. სახალ. სახლის** სომხურმა წრემ გადასწყვიტა: გვირგვინის ნაცვლად განსვენებულ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სახელობაზე ქალაქის უფასო სასადილოს გაუგზავნოს გვირგვინის ღირებული ფული და დაკრძალვას დაესწროს.

**ბუშინ ზუბალაშვილთა** სახ. სახალხო სახლში გარდაწყდა იქმნა პანაშვიდი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად.

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** დაკრძალვის საქმე იკისრა ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ.

**ქართულმა დასმა** ორშაბათს დანიშნული რეპეტიცია და კითხვა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო, მეორე დღისთვის გადასდო.

**„არტისტიულ თეატრის" საზ.** დაადგინა: გვირგვინით შეამკოს განსვენებულის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის კუბო.

**ქ. თბილისის თვითმმართველობამ**, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო დაადგინა, თანაგრძნობა გამოუცხადოს ჭირისუფალთ, 2, გვირგვინით შეამკოს კუბო, 3. დესწროს დაკრძალვას და ზუბ. სახ-ხო სახლში პანაშვიდი გარდაიხადოს.

**ვერის აუდიტორიამ** დაადგინა გვირგვინით შემკოს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის კუბო.

**ნატო გაბუნიამ უკანასკნელად ითამაშა** ს. ქარელში, 17 მკათათვეს, 1910 წ. „ხანუმა“.

**პანაშვიდები** ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად ყოველ საღამოს ექვს ნახევარ საათზე იმართებოდა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ესწრებოდენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება.

**ჭიათურის დრ. საზ-ბამა** და სცენის მოყვარეთ დაადგინეს გვირგვინით შემკონ განსვენებულ მსახიობის ნატო გაბუნიას კუბო. დაესწრებიან დელეგატნი.

**ქართ. დრამ. დასის მსახიობთ** დაადგინეს გვირგვინით შემკონ განსვენებულ მსახიობ-ამხანაგის ნატო გაბუნიას კუბო და დაკრძალვას დაესწრენ.

**დრამ. საზ-ის გამგეობამ** თბილისის გუბერნატორს დეპეშით მიმართა კოჯორში და სთხოვა, ნება მოგვეცით ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის დაკრძალვაზე სამი ხედრო მუსიკა ვიყოლიოთო.

**ხაშურის საზოგადოებამ** დაადგინა გვირგვინით შემკოს ნ. მ. გაბუნიას კუბო. დაკრძალვაზე დეპუტატად წარმოგზავნილია მთავარ-დიაკვანი იოსებ კვალიაშვილი.

**ქართული თეატრი** ნ. გაბუნიას დაკრძალვის დღეს მთელი დღით დაიკეტება, თეატრის ყველა მოსამსახურეთ გარდასწყვიტეს დაკრძალვას დაესწრონ.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

**ფოთი.** ნატალია გაბუნია-ცაგარლის ფოთელ ყველაპატივის მცემლებთან ერთად ვსტირით უდროვოდ დაკარგულს, ძლიერსა და თვით ნიჭიერ მსახიობს რომელმაც გააააზროვნა სამშობლო სცენის მსახურება. გთხოვთ ფოთელების მხრივ გვირგვინით შეამკოთ კუბო. ნიკოლაძე, მეუნარგია.

**ბათუმი.** შეუძლებელია სიტყვით გამოითქვას ის მწუხარება, რომელმაც მოიცვა მთელი ბათუმის ქართველი საზოგადოება ჩვენი სცენის სიამაყის და სასიქადულო გაბუნიას გარდაცვალების გამო. ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ დაობლებულ ქართულ დრამატიულ საზოგადოების და გარდაცვალებულის ნათესავებს.—სოფიო ნაკაშიძისა გ. ჟურული, ანდრონიკაშვილი, მესხი. გრიგოლ ელიავა, ნინო ქიქოძისა, ლეონიდ ქიქოძე, ანდრია დეკანოზიშვილი, გიორგი ელიავა.

**ოზურგეთი.** გიგზავნით 25 მანათს ნ. გაბუნიას სახელობის ფონდისათვის. თქვენთან ერთად ვსწუხვარ სახელოვან მსახიობის დაკარგვას. ვასილ ხუნდაძე.

**ბორჯომი.** სულიერად შეწუხებული ვარ ქართული სცენის მძიმე დანაკარგით. გ. სუნდუკიანცი.

**მოსკოვი.** თქვენთან ერთად ვგლოვობ უბადლო და დაუვიწყარ ნატო გაბუნიას დაკარგვას. ეფემია მესხი.

**ქუთაისი.** სიტყვას ვერ ვპოებთ ჩვენი მწუხარების გამოსათქმელად დაოფასებულ ნატოს მოულოდნელ და უდროვო გარდაცვალების გამო.—ქ. ქუთაისის თვითმმართველობის მოსამსახურენი.

**ახალ-სენაკი.** ახალ-სენაკის წ. კ. ს. განყოფილება გთხოვთ მსახიობ გაბუნიას კუბო გვირგვინით შეამკოთ შემდეგი წარწერით—ღრმადპატივცემულს და უნიჭიერეს ნატოს. გამგეობის თავმჯდომარე ხოფერია.

**მანგლისი.** ნ. გაბუნიას დაკარგვით გულწრფელად დაღონებული, ღრმად თანაუგრძნობ ქართულ თეატრს. ექიმი თამამშევი.

**მოსკოვი.** თქვენთან ერთად ვსწუხვართ მშვენიერ ნიჭის—გაბუნია-ცაგარლის დაკარგვას. ვახტანგ მჭედლოვი, კოტე მარჯანოვი.

**მანგლისი.** ცხარედ ვსტირით ეროვნულ თეატრის სიამაყეს, დიდსა და შეუდარებელ ნიჭიერ ნატოს დაკარგვას.

მსახიობნი: გედევანოვ—მირალიანი, არუთიუნიანი, მღ. ხუციანი, ფოტოგრაფი ბაბალოვი, ერიციანის ოჯახობა, სეილანოვი, დიდზურაბოვი.

**ყვირილა.** ვუერთდებით ქართ. ეროვნული თეატრისა და ამხანაგთა უდიდეს მწუხარებას დამსახურებულ ნიჭიერ მსახიობ-აღმზრდელის ნატოს გარდაცვალების გამო. მარო მდივანი და ვასო ურუშაძე.

**სოხუმი.** სოხუმის ქართველობა უზომოდ დამწუხრებულია ჩვენის სცენის ნიჭიერი წარმომადგენელის დაკარგვით. ვგრძნობთ-რა ჩვენის ღარიბი სცენის დიდს დანაკლისს, საზოგადო მწუხარებას ვიზიარებთ. თავდგირიძე.

**ჭიათურა.** ჭიათურის დრამ. საზ. გამგეობა და სცენის მოყვარენი სწუხან ჩვენის სცენის ლამპარის დაკარგვის გამო.

**ცაგვერი.** სულით და გულით ვუერთდები ამხანაგთა მწუხარებას ნიჭიერ მსახიობ ქალისა და ძვირფას ამხანაგის ნატოს გარდაცვალების გამო. ნინო ჩხეიძე.

**ყვირილა.** ღრმად დამწუხარებული ვართ ჩვენის სცენის ფასდაუდებელი დანაკარგით, რომელიც განიცადა ნ. გაბუნიას გარდაცვალებით: ქართულმა სცენამ დაჰკარგა თვისი ერთი საუკეთესო დედაბოძთაგანი. ყვირილის წ. კ. საზოგადოების გამგეობა.

**მოსკოვი.** ღრმა მწუხარებით აღიბეჭდა მოსკოვის ქართველ საზოგადოების თვითეულ წევრის გულში სახელოვან ქალის გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება. დაე, სანუგეშოდღა გვქონდეს გამოჩენილ მხატვარ-ქალის მაღალ-კულტურული მნიშვნელობა სამშობლო სცენის აყვავების საქმეში. ჩემს უსაზღვრო პირად მწუხარებას ვუერთებ საერთო გლოვას ძვირფას ამხანაგის უდროვოდ დაკარგვის გამო.

თავმჯდომარე მოსკოვის ქართველ საზოგადოებისა თავ. სუმბათაშვილი—არტისტი იუჟინი.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**